კვირა, 14 მაისი 1917 წ.

რედაქციის ადრესი:
ტფილისი, ოლღას ქუჩა, № 6.

ფასი 15 კაპ.

ეშმაკის მათრახი

№ 20

1917



მე კი მეგონა: მოქალაქე მწიფე არ იყო,
ვფიქრობდი, მისთვის სამ ივნისის დუმაც კმარიყო.

მაგრამ ნუ იტყვი: მე ვარ, თურმე, მკვახ-უმწიფარი,
ოც-და-სამი წლის უთავბოლოთ ნახელმწიფარი.

სიმწიფის მოწმობა

„სიმწიფის“ დადასტურება
უბრალო საქმე როდია,
თუკი მას მიზნად დაუსვით:
—რისათვის იმწიფოდია?

განსვენებული მთავრობა
მებაღეთ იყო გარძნეული:
წკიპურტის გაკვრით ატყობდა
თუ იყო შემოწეული.

აი შემოჰკრა პირველათ
და სთქვა: „არ არის მწიფეო,
დაიღუპება, საბრალო
მე თუ არ ვეხელმწიფეო“.

და იხელმწიფა ვიდრემდის
დრო გაზაფხულის ჩამოდგა.
გაჰკრა წკიპურტი და ხალხი
კვლავ უმწიფარი გამოდგა.

— იქნება „ერობისათვის“
მალე გამოდგეს მწიფეო,
თუ ძველებურის სიმტკიცით
და წესით ვეხელმწიფეო.

და იხელმწიფა ვიდრემდის
ცხელი დაიწყო ზაფხული,
მაშინ კი წალკოტს ესტუმრა
მებაღე გამოწფული.

გაჰკრა... წკიპურტის სანაცვლად,
მან მუჯლუგუნი ძლიერი,
და სთქვა: „დუმისთვის“ ივარგებს
უფრო მწიფე და ხნიერი.

თვით, სახელმწიფო სავარძელს
ჩამოჯდა უდარდელათა.
იმედით განმტკიცებული
ისევე, როგორც ძველათა.

შემოდგომაზე მოხელემ
ბაღში კვლავ ჩამოიარა
და ხეხილს, ანაზდეულად,
მახვილით დასდო იარია.

გაუმიზეზდა ჭრილობა,
გაუათასდა წყლულები:!

„პასუხის მგებელ მებაღეს“
ითხოვენ დაჩაგრულები.

მებაღე ამბობს:—ადრეა!
თუ ჯერ არ დავამკვიდრეო,
ეს იმას ნიშნავს, რომ ვუცდი
მომწიფდებოდე ვიდრეო.

როს მიიწურა ზამთარი,
მან კვალად ჩაუწკიპარტა!
მაგრამ შევხედოთ:
ეს მ-კ-ვ-ა-ხ-ე
უეცრათ თოფს არ მივარდა?!!

———

რაც მოხდა ამის შემდგომად
თქმა მისი აღარ მჭირია.
სიმწიფ-სიმკვახის გაზომვა
ამრიგათ გასაჭირია.

ეშმაკი

პატარა ფელეტონი

დიდი და პატარა

მკითხველი საზოგადოება ორ საქართველოს იცნობს:

საქართველოს დიდს,—ქვეყანას; „საქართველოს“ პატარას—გაზეთს. მათ შორის მრავალი განსხვავებაა:

ა) პირველს განაგებს სოციალ-დემოკრატია, მეორეს ნაციონალ-დემოკრატია.

ბ) პირველი იწერება თავისუფლად, მეორე იწერება ბრჭყალებში.

გ) პირველი გადაპიმულია ხმელეთზე, მეორე კი ქაღალდზე.

დ) პირველში მოხდა დიდი რევოლუცია, მეორეში კი პატარა.

და მე მსურს დღეს თქვენს წინაშე, ძვირფასნო მკითხველნო, სწორეთ ამ პატარა რევოლუციის შესახებ ჩამოვაგდო ლაპარაკი. ეს ამბავი, არც ისე ინტერეს მოკლებულია, როგორც ზოგიერთ თქვენგანს ეგონება,

ის დრო, როცა საქართველოში „საქართველო“ დაარსდა საისტორიო დროა. რუსეთის სამეფო ტახტზე მტკიცეთ დაეფუძნა გრიგოლ I და ტახტის გარშემო მჭიდროთ შემოკრბა რუსეთის ნაციონალ-არისტოკრატია. ერთად ერთი სასაცილო სახელი ამ დროს „სოციალისტის“ სახელი იყო. სამშობლოს მხსნელათ დაისახა ნადული (сплавъ) ბურჟუაზიისა (2 წილი) თავად-აზნაურობასთან (4 წილი).

ჩვენი ქვეყნის ნაციონალ დემოკრატები, ანუ აწინდელი გამგენი „საქართველოისა“ აშკარათ ხედავდენ, თუ საიდან უნდა მოელოდეს ხსნა ქვეყანას და აი ნეტარხსენებული ეგზარხის პიტირიმის გარშემო დაარსდა პარტია, ხოლო პარტიამ გაიჩინა ორგანო „საქართველო“. თანახმად რეცეპტისა პარტიაში შევიდა ორი ბურჟუა და ოთხი თავადი, ხოლო პარტიულმა ორგანომ გარს შემოიკრიფა ყველა ბურჟუობისა და თავადობის მსურველი, დაწყებული ცნობილ ფილოსოფოსის გ. ქიქოძისაგან, გათავებული ცნობილ მგოსან გიორგი გვაზავათი.

რედაქციის საანეგდოტო, სასაცილო, საოხუნჯო და სავარჯიშო თემას სოციალიზმი და სოციალისტი წარმოადგენდა. მათ შორის უპირატესობა რასაკვირველია სოციალ-დემოკრატიას ეძლეოდა. სიმართლე უნდა ითქვას, რომ ეს უმთავრესი მუხლი პარტიულ პროგრამისა, ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის ორგანომ ჩინებულათ დაიმუშავა. პირველ ყოვლისა, მათ (ფედერალისტთა დახმარებით) დიდის ზეიმით დაკრძალეს ეგრეთ წოდებული ინტერნაციონალი.

მაგრამ მოხდა სასწაული: გრიგოლ I და მასთან ერთად მთელი სამეფო საგვარეულო დაემხო, ხოლო რუსეთს სათავეში სოციალისტები ჩაუდგენ. დაიწყო უკვე ცნობილი რუსეთის რევოლიუცია, რომლის ტალღა გადმოგორდა დიდ საქართველოში და აქედან შეიჭრა პატარა „საქართველოშიაც“. ქალალდის საქართველო შეინძრა. პირველ დღესვე დაისვა საკითხი „სოციალისტობის“ შესახებ და ასეთი რეზოლიუცია იქმნა მიღებული.

„საქართველოს“ რედაქცია და მასთან ერთად ნაციონალ-დემოკრატიული პარტია საცენზურო სიტყვად სცნობს უცხო სიტყვა „სოციალისტს“ და ნებას აძლევს თანამშრომლებს თავიანთ სტატიებში აღნიშნული სიტყვა გაულანძღავათაც მოიხსენიონ“.

დაღამდა პირველი დღე და გათენდა მეორე. რევოლუციაც და ცხოვრებაც თავ-თავისი გზით მიდიან. ნაციონალურ დემოკრატიაში დაიბადა ინსტიქტი რეკვიზიციისა და პირველ ყოვლისა მოტაცებულ იქმნა ერთი აჯტომობილი. მაგრამ ამავე დროს პარტიაშა თავი იჩინა სოციალისტებმაც. ერთი რედაქციის წევრთაგანი აშკარათ მიემხრო სოციალიზმს და რედაქციიდან გავიდა. ამან საფუძველი დაუდო რედაქციაში ანარქიზმის ჩათესლებას.

მესამე დღეს მდგომარეობა უფრო გამწვავდა. იმ დროს, როცა რედაქტორი გაზეთისა ფეხისადგილში გავიდა, დანარჩენმა წევრებმა ის გადააყენეს თანამდებობიდან, რეკვიზიცია უქნეს ორგანოს და აირჩიეს ახალი მთავრობა. რედაქციაში დაბრუნებისათანავე მგოსანმა რედაქტორმა მოითხოვა კერძო საკუთრების ნიადაგზე მის შელახულ უფლებათა აღდგენა, მაგრამ ცდა ამაო გამოდგა და ყოფილი რედაქტორი იძულებული გახდა გასცლოდა მის მიერ დაარსებულ კერას და გადასახლებულიყო ქიზიყს, სადაც მოუთმენლად მიელოდა მის ჩასვლას ნაციონალ დემოკრატთა პარტია.

რევოლიუცია პატარა „საქართველოში“ ამით არ დასრულებულა. რაც დღე მოდის რევოლიუცია თან და თან ღრმავდება. თუ სააგენტოს ცნობებს დავუჯერებთ უკვე გასოციალისტებულან „სამეგრელოს კოლო“ (სპ. კედია და თ. სახოკია) დღე დღეზე მოელის გასოციალისტებას „კახეთის კავშირს“. მართალია, ამბობენ ის უკვე გადადგაო, მაგრამ ჩვენის აზრით ეგ სიმართლეს არ შეესაბამება. რყევაშია „გურიის ფრაქციაც“, ვინაიდან ბატონ გერონტი ქიქოძეში ადრე თუ გვიან გაიღვიძებს დროებით მიძინებული სოციალიზმი. ამგვარათ პატარა „საქართველოს“ ბურჯათ შეიძლება ჩაითვალოს „ქართლის ცენტრი„ რეზო გაბაშვილის მეთაურობით.

ასეთია დღევანდელი ვითარება დიდისა და პატარა საქართველოებისა. რა იქნება შემდეგ, ამას მომავალი დაგვანახვებს.

კოლო.

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა.

მესამე კვირე სრულდება, რაც ქართველი ერის ყურადღება ერთ ფოკუსშია თავმოყრილი, ერთ საკითხზეა მიჯაჭვული. ასეც უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ეს არის მთავარ მნიშვნელოვანი საკითხი დღევანდელი მომენტისა და უმადურობაც იქნებოდა მისთვის ზურგი შეგვექცია.

საკითხი ესე გახლავთ ამხ. კენჭის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკური ამოცანა უკვდავი მგოსნის სოლომონ ზურგიელიძისა:

„ᲔᲘᲝᲘᲐᲣᲘ-ᲐᲝᲝᲘᲐ“.

აღნიშნული ამოცანის შესახებ ჩვენს რედაქციას ჯერ-ჯერობით მხოლოდ 732 წერილი მოუვიდა, (ამათში 617 უმარკო). ჩვენ განვიზრახეთ ზოგიერთ მათგანს ალაგი დაუთმოთ ჩვენს ჟურნალში და მით დავანახოთ საზოგადოებას, თუ რაზომ ყურადღებით ეპყრობა ქართველი ერი თითოეულ სიტყვას საყვარელი მგოსნისას.

— —

ბ-ნო რედაქტორო!

ეს მერვე დღეა, მე, ჩემი მეუღლე და ორი უფროსი შვილი თავს ვევლებით თქვენ მიერ მოთავსებულ ამოცანას და მხოლოდ მეცხრე დღეს გაგვიღიმა ბედმა. ჩემმა მეუღლემ ახსნა და აი ისიც:

„დემოკრატიული რესპუბლიკა“.

რა უბრალო რამეა და რამდენი შრომა დაგვჭირდა მის ახსნა განმარტებაზე. გთხოვთ აუწყოთ საქართველოს ეს სასიამოვნო ამბავი.

მთელი ოჯახის მონდობილობით

ი რ ი დ ი ო ნ ბ ურ ჯ უ ლ ა ძ ე.

— —

ამხანაგო რედაქტორო!

პირველი შემთხვევითი შემთხვევაა ჩემს ცხოვრებაში რაიმე საკითხს ასე გავეტაცებიე, როგორც ეს სოლომონ ზურგიელიძის გამოცანამ მიქნა. არა თუ სხვა საქმიანობის, არამედ ჭამის მადაც დამიკარგა. ცოტა თუ კიდევ დამგვიანებოდა გარწმუნებთ ავათ გავხდებოდი, მაგრამ მადლობა ღმერთს თავი გავართვი და უბრალო ასოების ნაცვლად ჩემს წინაშე გადაიშალა.

„კოალიციონური სამინისტრო“.

ვერ წარმოიდგენთ რა სიამოვნება გამოვსცადე ამოცანის ახსნის შემდეგ და ვიჩქარი მადლობა უძღვნა რედაქციას ასეთი წერილის მოთავსებისათვის.

ლ ა ვ რ ე ნ ტ ი კ უ ხ ი ა ნ ი ძ ე.

— —

მოქალაქე რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ აგვიხსნათ თქვენი მოთხრობა: „ᲔᲘᲝᲘᲐᲣᲘ-ᲐᲝᲝᲘᲐ“, რომელიც დაბეჭდილია „ეშმაკის მათრახის“ მე 17 ნომერში. ყოველივე ცდა ახსნისა ამაო გამოდგა. გიგზავნით ამასთანავე მარკას.

ნ ე ს ტ ო რ ბ ა ფ ი ძ ე

—

საყვარელო ბ-ნო რედაციავ!

არ ვიცი რა სიტყვებით გამოვთქვა ის აღტაცება, რომელიც გამოიწვია ჩემში თქვენდამო რწმუნებული ამოცანას გამოცანამ. ბევრი ფიქრი არ დამჭირვებია, ერთის დახედვით უკვე დავხედე საგანს ნამდვილ მსვლელობაში. დიდი ჭკვიერი კაცი უნდა ყოფილიყო თუ სოლომონ ორაგულიძემ მართლა მან შეიმუშავა ასეთი ძნელი მოსაზრება. გამოცანის დახსნა უნდა იყოს **„კოპერატიული ასტალოვია“** დიდი მადლობის ღირსია ვინც თუ ასეთ სამუშაოს ხალხისთვის მუდამ მზათ არის.

თქვენი მოსიყვარულე ა ტ ა ტ ო ფ — ძ ი ს ა.

— —

ჩვენ შეგვეძლო არა ერთი და ორი სხვა ასეთი ტკბილი წერილი მოგვეყვანა მკითხველთა საყურადღებოთ, თუ კი დრო ადგილი საშუალებას გვაძლევდეს. სამწუხაროდ უნდა გამოვტყდეთ, რომ 732 კაცში ამოცანა მხოლოდ ერმა ფარნაოზ ზღიპარტლიშვილმა ახსნა და როგორც გავიგეთ აღნიშნული პიროვნება მონათლული ყოფილა სოლომონ ზურგიელიძის მამიდაშვილის რძლის სიძის ქვისლისაგან და ვეპვობთ მას წინეთ არ სცოდნოდეს შინაარსი ამოცანისა: „ᲔᲘᲝᲘᲐᲣᲘ-ᲐᲝᲝᲘᲐ“ რომელიც აიხსნება ასე:

„ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲐ“.

ამგვარათ, ფარდა ეხდება ერთ უდიდეს საიდუმლოს ჩვენი შინაური ცხოვრებისას, სახელდობრ აშკარავდება ის, თუ რომელ პოლიტიკურ პარტიას უფრო ენათესავებოდა ჩვენი დაუვიწყარი მგოსანი.

აქვე საჭიროა ითქვას შემდეგი: არსად სოლომონ ზურგიელიძის ნაწერებში ერთი სიტყვითაც არ არის ნახსენები მისი ნაციონალურ-პოლიტიკური პროგრამა. ის დაჟინებით სდუმდა ამ საკითხის შესახებ და შეიძლება ამ გარემოებამ გვაფიქრებიოს, რომ მგოსანი აღნიშნულ საკითხს სთვლიდა მეორე ხარისხოვან საკითხად, ხოლო დუმილი მისი აიხსნებოდა მხოლოდ და მხოლოდ სალი ტაქტიკური მოსაზრებით.

ჩემის ღრმა რწმენით შეუძლებელია სოლომონი რომელიმე ერთი პარტიის კუთვნილებათ ჩაითვალოს; ეს არ შეესაბამება პირველ ყოვლისა მის მ გ ო ს ნ უ რ ბუნებას; ესეც არ იყოს მე ვერ წარმომიდგენია ისეთი პარტია, რომელშიაც შეიძლებოდეს ასეთი ბუმბერაზის მოთავსება.

სამწუხარო და სავალალო იქნება, თუ ამ ამოცანის მიხედვით საბოლოოთ გადავსწყვეტთ ღვთაებრივი მგოსნის სოციალისტ-ფედერალისტობას, ან ნაციონალ დემოკრატობას.

ნურამც იქნება ესე!

მორიელი.

შარადა

მონახეთ ღამის ფრინველი,
(თავი რო დიდი აბია),
დღით ფუღუროში ბინადრობს,
სული მკვდარ გაუნაბია.
წარკვეცეთ ბოლო. საჭირო
მხოლოდ იმისი თავია.
(სიკვდილით დასჯას ვერ მოვსპობთ!
მოკვდეს ვინც მოსაკლავია!)

—

აწ ის გვჭირია, რაც ქვეყნად
არის „უტკბესი ყოვლისა“,
უმხურვალესი მზის სხივთა
და უცივესი თოვლისა.
მოჰკვეთეთ თავი ამასაც,
გინდ დანით, გინა კბილებით...
(ოპერაცია ძნელია,
ვიცი მწარ გამოცდილებით).
რაც დარჩა, დაე იქ დარჩეს
შარადისათვის ურგები

—

და ჩვენ ვიპოვოთ ცხოველი,
ვის ჯავშნის ედგას ზურგები.
ის ჩვენს შარადებს ხშირ-ხშირათ
უწევს სამსახურს დიადსა.
ახლაც თავი გვსურს იმისი,
ბოლო, სამარის წყვდიადსა.

—

ერთობ პატარა მწერია
მქსოველი ბადის წმინდისა.
ვინც შიგ გააბა, მათ სისხლის
წუწნაც არ დაისინდისა.
ვინ გაგვიმტყუნებს, სისხლის მსმელს
თავი მოვკვეთოთ ხელათა,
თუ კი ივარგებს ამ ტურფა
შარადის ასაშენათა?

—

და აი ოთხი თავისგან
ერთი აშენდა სახელი.
ღმერთო გამხადე მე მისი
კვალად ახლორე მნახველი.

ქაქიჩ.

მძიმე დარდი

(რკინის გზის მთავარ სახელოსნოს ზოგიერთა ბრიგადირებს).

ამდენი დარდით ლამის ლაყე საზამთროსავით გავსკდე. დღემდის გამოვიჭიმებოდი ტაბარეტკაზე და ერთს რო დავიყივლებდი მთელი მუშები სმირნაზე დგებოდენ! პრიბავკის თვე რო მოაწევდა, დალიარული ღვინით, იმერული ხაჭაპურებით, მეგრული სულგუნით, გურული არაყით, ოსური ერბოთი და ქართული ნაზუქით სახლს მივსებდენ, რა არი „პადიონი“ ჯამაგირზე ერთი დაჟეჟილი შაური მიმემატებინა! სახლში ჩასაყლაპი რო გამომელეოდა, რომელიმე მუშას ავლაბრულათ შაუკურთხებდი და საღამოს, წითელი ნუნუათი გაჟღენთილი გეოს ყოჩივით უქახუნებდით ერთი მეორეს თავებს!

დღეს კი ვგდივარ მაზუთიანი პაკლიასავით და მწუხარეთ ჩამიქინდრავს თავი. ჩემი გამარჯობა ყველას ზაჰხრუმანათ ეყურება. ერთი „ამხხნაგოს“ დამიძახებდენ და ჩემი სიყმე გაჰქრეს თუ ხელადა ღვინო, თავის წვანილებით არ ვიყიდო... მაგრამ... ეეე... რას ვსულელობ მე ინდაურის თავი?!. ამხანაგს დამიძახებენ კი არა ქეციანი ძაღლივით ახლოს არ მეკარებიან. ჩემი საქმე ჭანდრაკულათაა, ალბათ იმასაც გაიგებენ, რომ კვირეში ორმოც კაცს „ახრანი ადელენიებში“ ყირამალა ვახატვინებდი და მაშინვე მორჩა ჩემი სიცოცხლე, ან მეტეხის ციხის ბაღლანჯოების ყაურმათ გამხდიან, ან ნაგალავინსკი პროსპეკტზე ჩამომახრჩობენ.

ძამია.

ავტოკეფალია.

სცენა ერთ მოქმედებათ.

მომქმედნი პირნი:

ზოსიმე — — მღვდელი.
მარიამი — — უკანონო ფოფოდია.
იოსები — — ზოსიმეს დიაკონი.
ვასო სოციალდემოკრატი
შაქრო ფედერალისტი | ზოსიმეს ძმისწულები

I

ზოსიმე და მარიამი.

(აღდგომა დღეა. მამა ზოსიმე მრევლიდან დაბრუნებული უზის გაშლილ მაგიდას და სტკბება პასკებით, ცხვრის ბეჭ-კანჭებით და აუარებელი სანოვაგით, რომელიც საკურთხათ მოართვეს. გადაჰხედავს მარიამს და სახე გაბრწყინვებული წამოვარდება).

ზოსიმე. აბა პროშტი, მარიამ, პროშტი! (მოეხვევა).

მარიამი (მორცხვად). მღვდელო, რამ გადაგრია? არავინ დაგვინახოს, სირცხვილია!

ზოსიმე (გაკვირვებით). ბიჭოს! მაშ „ქრისტე აღსდგა“ არ გითხრა?!

მარიამი. კაცო, აკი ორჯერ მომილოცე, მეტი რაღა გინდა?

ზოსიმე. ღმერთს სამება უყვარს, მარიამ, სამება (ჰკოცნის). უჰ, შენ გენაცვალოს სამებაც და სვეტიცხოველიც (კიდევ ჰკოცნის). ნამდვილი ღვთის მშობელი ხარ მე და ჩემმა ღმერთმა!

მარიამი (გაოცებული). უიმე, უიმე! ნუ სცოდებ ღმერთს, ღვდელო! მე რა ღვთის მშობელთან შესადარებელი ვარ!

ზოსიმე. ბიჭოს! არა, დვთისმშობელი რითა გჯობიან შენ?

მარიამი. უიმე, უიმე, ღვდელო, რას ამბობ?! როგორ თუ რითი მჯობია! მე ცოდვილი, შენთან უკანონოდ შეუღლებული და წმინდა ქალწული მარიამი ერთი ვართ!!

ზოსიმე. ქალწული, ღმერთი უშველი იმას! როგორც შენა ხარ ჩემი უკანონო ცოლი, ისე ის იყო იოსების.

მარიამი. უიმე, უიმე, ეს რა მესმის! ნამდვილად შეიშალე, ღვდელო!

ზოსიმე. არც შევშლილვარ და არც გადავრეულვარ. მე ეხლა კარგათ ვიცი ყველაფერი, თავისუფლება რომ გამოცხადდა, ეგ ამბავი გაზეთში ეწერა.

მარიამი. უი, ღმერთო, მომკალი! როგორ გაირყვნა და გასასაცილოვდა ხალხი! (ახლო მივა და ყურში ეუბნება ზოსიმეს) ამ ხალხმა ისე აიშვა თავი და ყველაფერს სწერენ, რომ მეც შემეშინდა.

ზოსიმე. დიდება შენს სახელს უფალო! სწერონ, შენ რა გენაღვლება?

მარიამი. როგორ თუ რა მენაღვლება! რომ დასწერონ საჯაროდ, რომ მე შენი ხასა ვარ, რაღა მეშველება! ღმერთო ჩემო! (ტირის) იცოდე, ზოსიმე, რომ თავს მოვიკლავ.

ზოსიმე (იცინის). ხა, ხა, ხა, ხა! არა, შე სულელო, მაგას ეინ დასწერს! განა შენ არ იცი, რომ ეხლა ავტოკეფალია არის და მთელი ქვეყანა მღვდლებისაა! ეხლა ქვრივ მღვდლებსაც ნება აქვთ ჯვრის წერის. ერთი კი არა, სამი რომ მოიყვანოს, მაინც არავინ დაუშლის. სრული თავისუფლებაა სამღვდელოების, გესმის! (იცინის) ხა, ხა, ხა, ხა! არა, შე გიჟო, რისა გეშინიან! (ლოყაზე ხელს აუსვამს).

მარიამი. თუ ღმერთი გწამს, მართალი მითხარ, ღვდელო.

ზოსიმე. მართალია, შენ არ მოუკვდე ჩემ თავს.

მარიამი (სიხარულით კისერზე შეახტება) ღმერთო ჩემო! ნუ თუ მე შენი კანონიერი ცოლი შეეიქნები! ნუ თუ მაგ ავტოკეფალიას ასეთი ძალა აქვს!!

ზოსიმე. აქვს და ეგრე! ავტოკეფალიას ისეთი ძალა აქვს სამღვდელოებისთვის, რომ ყველას მანთაშოვებათ გადააქცევს. აქამდის ღვთით ყველაფერი საძღომათა გვქონდა. ეხლა ავტოკეფალიის ძალით საძღომი კი არა, სულ სახეთქი გვექნება ყველაფერი.

რამდენიც უნდა სჭამო, მაინც ვერ გამოლევ. (აიღებს გაზეთს და სიხარულით კითხულობს. სახე გაუბრწყინდება. სადაც სიტყვა ავტოკეფალიასა მოიკითხავს, იქ ჩაახველებს და იცინის). ხა, ხა, ხა, ხა! ავტოკეფალია, მარიამ, გესმის, ავტოკეფალია! (გაზეთს დასდებს და მარიამს მოეხვევა) მთელი ეკლესიების შემოსავალი ჩვენია, გესმის, ჩვენი!

მარიამი. ზოსიმე, რა არის ეგ ავტოკეფალია! კიფალი მე თევზი გამიგონია.

ზოსიმე. ავტოკეფალია არის, ჩემო მარიამ ისა, რომ რაც საქართველოში ეკლესია-მონასტრების ადგილია, სულ მღვდლებისაა და რა გასაკვირველია შიგ კიფალია თუ ზუთხი სუყველა ჩვენია. გესმის, მარიამ, სულ ჩვენია, ადამიანო, ჩვენი! (სიხარულით აღტაცებული სტაცებს ხელს მარიამს, აიყვანს ხელში და ატრიალებს).

ჩვენია, ჩვენია,
მარიამი ჩემია,
ვენაცვალე ჩემ გოგოს,
ჩემია და ჩემია!

მარიამი. მოიცა, ღვდელო, რამ გადაგრია!

ზოსიმე (ატრიალებს).

დავამტვრიეთ მონობის
ჯაჭვშნიანი გალია
და მივიღეთ, მაროჯან,
ჩვენ ავტოკეფალია!

მარიამი. კარგი, კაცო, კარგი, არ წამაქციო!

ზოსიმე. ფულებში გაცურავებ,
გაგიძღება თვალია,
ოხ რა კარგი ყოფილა
ეს ავტოკეფალია!

მარიამი. გამიშვი მღვდელო, ნუ დამამტვრიე!

ზოსიმე. ჩვენია თართი დოში,
ზუთხი და კიფალია,
დალოცოს ზეციერმა
ეს ავტოკეფალია! (ზევით ისვრის მარიამს). ურა, ურა! გაუმარჯოს ავტოკეფალიას! (ამ დროს შემოდის დიაკვანი, მარიამი მეორე ოთახში გავარდება).

II.

იგინივე და იოსები.

იოსები (მოხუცებული კაცია. ძლივს ღა ჩიფჩიფებს უკბილობის გამო. რა დაინახავს ზოსიმეს ციბრუტივით ტრიალს, გაჰკვირდება). იმე! ეს რა ამბავია. ღვდელო, რავა კვინტრიშებ?!

ზოსიმე (სიხარულით). ჩვენია, იოსებ ქვეყანა, ჩვენი, გესმის?!

ზოსიმე (სიხარულით) ჩვენია, იოსებ ქვეყანა, ჩვენი, გესმის?!

იოსები. იმე! გამაგებიე, შე დალოცვილო, რაშია საქმე?

ზოსიმე. რაშია და ამ ავტოკეფალიას ნუ ეხუმრები შენ, ჩემო ბიძია. პირდაპირ სამოთხეში შეველით მთელი სასულიერო წოდება.

იოსები. იმე, მითხარი შე კურთხეულის შვილო, თვარა ამევიდა სული. გამაგებიე რაშია საქმე?

ზოსიმე. რაშია, ჩემო იოსებ, და რაც საქართველოში ეკლესიების და მონასტრების მამულ დედული და შემოსავალია, ყველა ჩვენია.

იოსები. იი! რავა, ჩვენ ორის, მამაო?!

ზოსიმე (გადიხარხარებს). ხა, ხა, ხა, ხა! არა, შე ბრიყვო, ჩვენ ორის კი არა, მთელი საქართველოს მღვდელ-დიაკვნებისაა.

იოსები. იი! მაგდენი კია ვითამ!

ზოსიმე. კაცო, შე შტერო, მარტო ამ ას წელიწადში რუსებს რაც ჩვენი ეკლესიის ქონება წაუღიათ, ასი მილიონი იქნება.

იოსები (გაკვირვებული). იი!

ზოსიმე. იანგარიშე ეხლა იმისი პრაცენტი. ახლა ახალი შემოსავალი კიდევ სხვა იქნება...

იოსები (გოცებული). იი!

ზოსიმე. ერთი სიტყვით, ჩემო იოსებ, ქერის ორმოში ჩავარდით რაღა! დაჯექი, და იქეიფე.

იოსები. იმე, სად იყო აქამდინ ეს დალოცვილი კიფალია, თუ ამისთანა ძალა ქონდა! არა, როცა კენჭივით კბილები მქონდა, ლობიომ გადამაღლიტა ღრძილები და ახლა ჩემ კბილებს ქაჩალ ნიკობიმოს პრიჩეტნიკის ბანალივით თუ მონახავ აგერ-იგერ, თვარა საღა მაქვს კბილები! აი დედასა, საუმელი ღმერთმა მომანიჭა და ჭამის შნო კი წამართვა!

ზოსიმე. ბევრი რამ მოგვანიჭა, იოსებ, ავტოკეფალიამ. ავტოკეფალიის ძალით ქვრივ მღვდლებს შეგვიძლიან რამდენი ცოლიც გვინდა შევირთათ, გესმის! კანონიერად, რასაკვირველია.

იოსები (სიცილით). აბა გშველებია, ღვდელო. კაი მაკარიჩი გეკუთვნის ახლა შენ. (შემოდის მარიამი).

III.

იგინივე და მარიამი.

იოსები (მარიამს). მომილოცავს მამა ზოსიმესთან კანონიერი შეუღლება. ღმერთმა ერთმანეთს შეგაბეროთ (სიცილით). აი კიფალია. თუ ღორჯო ნამდვილ თქვენთვის ყოფილა.

დროებითი მთავრობის ბარტყები.



— მთელი ჩვენი სიცოცხლე ამაზე ვოცნებობდით და ნუ თუ ეს ყოფილა მინისტრობა?

კიდევ კახეთი



ვიცი, არა ერთი და ორი საყვედური ითქმის შესახებ ჩემი მოგზაურობისა, ვიცი კვლავ შემწამებენ გადაჭარბებულ სიყვარულს ისედაც საყვარელი კახეთისას, ისიც ვიცი, რომ ძველი მთავრობის მოხელენი ამ ფაქტს ხელზე დაიხვევენ, ჩვენს წინააღმდეგ კონტრ-რევოლიუციონურ აგიტაციის გასაღვივებლათ, მაგრამ მიუხედავათ ყოველივე ამისა 3 მაისს, დილის 9 საათზე (დეპუტატი აკაკი ჩხენკელის თანხლებით) გავემგზავრე კახეთისაკენ.

გარდა იმისა, რომ მე კახეთი მიყვარს, ჩემს მოგზაურობას პოლიტიკურ-იუმორისტული და ასე ვსთქვათ სურსათ სანოვაგური სარჩულიც ედო.

ვის არ მოეხსენება, რომ ის წითელი სითხე, რომელსაც ძველი მთავრობის დროს „ღვინოს“ ვეძახდით, დღეს „ “ წოდებული, მხოლოდ (?) აფთიაქებში იშოვება და მის შესაძენათ 27 მოწმობაა საჭირო. ქართველი კაცისთვის და მით უმეტეს კახეთის მოყვარულ ქართველისათვის ერთობ ძნელია უამ ლალისფერ სითხეოდ გაძლება და ერთი მიზეზთაგანი ჩემი მგზავრობისა ესეც იყო.

სამგზავრო დღეც, ეტლიცა და გზაც საუცხოო იყო. ელვის სისწრაფით განვლეთ ალექსეევკა, პეტერსდორფი, მარიენფელდი, ფრეიდენტალი, მალხაზოვკა და მივედით „კახეთის სატახტო ქალაქ“*) სიღნაღში. ხალხი ყველგან აღტაცებით გვხვდებოდა. ქალაქის მოედანზე „თავისუფლების მოედნის“ დასწვრივ, იქ, სადაც თავს იყრიან კერენსკის, ჩხეიძის და ჩხენკელის ქუჩები, გაიმართა მიტინგი.

მიტინგი გახსნა სიღნაღის მუშათა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. იოსებ კრაწაშვილმა. მან განუმარტა ხალხს საპატიო სტუმრების მნიშვნელობა და იხმარა ერთგვარი მიკერძოება, ვინაიდან ახსენებდა მხოლოდ და მხოლოდ აკაკი ჩხენკელს.

მიტინგზე ამაღელვებელი სიტყვა წარმოსთქვა ჩვენმა საყვარელმა მგოსანმა სან. შანშიაშვილმა, რომელმაც სხვათა შორის განაცხადა:

— მოგესალმები ძვირფასო სტუმარო ქიზიყის გლეხკაცობის სახელით, რომელიც იმყოფება ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის ქვეშ“-ო.

ილაპარაკა აგრეთვე სოციალ-ფედერალისტთა პარტიის წარმომადგენელმა:

— ავანგარდი რევოლიუციისა, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია, მოგესალმება თქვენ პატივცემულო აკაკი და სხვ.

პატივცემულმა კოტე ტყავაძემ მოკლე სიტყვა წარმოსთქვა მომენტის შესახებ (ვინაიდან სადილის მომენტი მოახლოვებული იყო) და უსურვა (იმანაც აკაკი ჩხენკელს) ხანგრძლივი სიცოცხლე და დღეგრძელობა.

---

*) საჭირო განვმარტოთ, რომ ასეთი ტიტული ქალაქ სიღნაღს ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ კოტე ტყავაძემ მიაკუთვნა. ამბობენ აგრეთვე იმასაც, თითქო ერთხელ თელავში თამადობის დროს კოტე ტყავაძეს ეთქვას: „ვსვამ სადღეგრძელოს კახეთის სატახტო ქალაქის თელავისსო“. მაგრამ ეს მხოლოდ ხმებია.



შემდგომად პატივცემული კოტე ტყავაძე ერთხმად არჩეულ იქმნა სუფრის უფროსად, ანუ თამადათ.

კრებას მიესალამა აკაკი ჩხენკელიც. ხალხი, განურჩევლად სქესისა და ეროვნებისა განსაკუთრებულის გულისყურით უსმენდა მის სიტყვებს და აშკარა სიამოვნებას განიცდიდა.

მხიარული მიტინგი დასრულდა. და თითქო ზეცამაც პირი შეიკრა. აშკარა იყო პატივცემული ილია რაღაც საკონტრ-რევოლიუციო ზრახვას განივლებდა გულში. ნუკრიანის მხრით აშკარათ ამოიმარჯა ტყვიისფერ და დაფლეთილ ღრუბელთა მთა. გამოცდილი თვალი მასში უთუოდ სეტყვის მოცქულს იცნობდა.

ჩამობნელდა.

კონტრ-რევოლიუცია დაიწყო.

სეტყვამ მირეგვ-მორეგვა ქალაქის არე მარე და მრისხანე ქექა ქუხილით დაეშვა ალაზნის ველისაკენ.

ამ ხანებში მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში კერძო თათბირიც დამთავრდა. დეპუტატი აკაკი ჩხენკელი კვლავ მორიგ კრებისაკენ გაემართა. მხოლოდ მე სამაზრო სამხედრო საკრებულოსაკენ, სადაც მივიღე სიღნაღის ინტელიგენტ ქალთა დეპუტაცია. ერთმა მათგანმა შესაფერი სიტყვით მომმართა და მთხოვა აკაკი ჩხენკელისათვის გადამეცა მშვენიერი ვარდთა თაიგული, რაიც მე უდიდესის სიამოვნებით ვიკისრე.

საკითხი აღიძრა სიღნაღის ქალთა სასწავლებლის შესახებ. აღნიშნული (ბრეშკო ბრეშკოვსკაიას ქალის) სასწავლებელი უკვე მიმხრობია რუსეთის დიდ რევოლიუციას, რასაც ამკარათ ამტკიცებს მისი სახელწოდება.

საღამო ხანს პატივცემულმა აკაკი ჩხენკელმა ინახულა ადგილობრივი სატუსაღო. ყველა ტუსაღი ასე თუ ისე თანაუგრძნობს ამ დიდ რევოლიუციას და მომხრეა ციხიდან გამოსვლისა. განსაკუთრებულის გატაცებითა და მჭერმეტყველური სიტყვით შეეგება საპატიო სტუმარს ერთი ტყვე-მოძღვართაგანი.

საღამოთი, ქალაქის თავის ინიციატივით, ქალაქისავე საკრებულოში გაიმართა ვახშამი, რომელზედაც მრავალი ღირს-შესანიშნავი სიტყვები წარმოითქვა.



4 მაისს დილით ჩვენ გამოვეთხოვეთ „ძვირფას სილნაღს და გავემართეთ ქალაქ თელავისაკენ. სოფელ ანაგამდე ჩვენ მიგვაცილა ამხ. მიხ. ქარ-ციკაძემ.

(დასასრული იქნება)

ეშმაკი.

მარიამი (ღიმილით). გმადლობთ, ჩემო იოსებ, გმადლობთ.

იოსები. ი, ძალიან ძალა კი ქონებია ამ კიფალიას! აი დედასა რავალ დროს დავბერდი! ღმერთმა სათოხლავი მომცა და ჭამის შნო კი აღარა მაქვს!

მარიამი (სიცილით). ნუ გეშინიან, იოსებ, ზოგს დაღეჭავ, ზოგს დაუღეჭავს გადაყლაპავ და იოლათ წახვალ. აქ მაინც არაფერს დაარჩენ.

იოსები. ჩოუყლაპავს კი რას გოუშვებ, მარა მადიანი არ იქნება, ფოფოდია, მადიანი.

მარიამი. აბა, მობრძანდით სტოლზედ მიირთვით რამე. (ზოსიმე და იოსები დასხდებიან, შემდეგ მარიამი).

ზოსიმე (აიღებს ჭიჭას). ეს ღმერთმა გაუმარჯოს ჩვენ ფედერალისტებს, რომ იშრომეს, იმუშავეს, ივაგლახეს, იყაყანეს, იჩხუბეს, იომეს ჩვენი საწყალი სასულიერო წოდებისთვის და ეს აუარებელი ქონება მზამზარეულათ ბლუდით დაგვიდგეს წინ. გაუმარჯოს ფედერალისტებს!

იოსები. გაუმარჯოს!

ზოსიმე. გაუმარჯოს მათ საქმეს?

იოსები. გაუმარჯოს!

ზოსიმე. „ქრისტე აღსდგა!“

იოსები. | „ჭეშმარიტად!“
მარიამი. |

ზოსიმე. მოდი სოციალდემოკრატებსაც გაუმარჯოს, რომ ავტოკეფალიის საქმეში არ ჩაერევნენ და საქმე არ გაგვიფუჭეს. მათაც ღმერთმა თავისი სიმართლით უშველოს.

იოსები. ამინ, მაგრამ ერთი ეს მითხარი: ეს ამოტოლა ქონება რომ ხელში ჩაგვივარდა, ჯამაგირიც გვექნება, საკურთხიც, დრამაც და ყველაფერიც?

ზოსიმე. სულ, სულ, სულყველაფერი უკლებლივ მოგვეცემა. შენ ხუმრობა არ გეგონოს ეს ავტოკეფალია.

იოსები (აიღებს ჭიქას). მაშ გოუმარჯოს ამ კიფალიას!

ზოსიმე. გაუმარჯოს, გაუმარჯოს! (სვამს)

იოსები (შეღვინიანებული) მაშ ამოტოლა შემოსავალი თანასწორათ გეიყოფა, მამაო არა?

ზოსიმე (იცინის). ხა, ხა, ხა, ხა! აი ბრიყვი! არა, მადა ძალიანა გქონებია! არა, მე და შენ ერთნი ვართ, რომ თანასწორი წილი ავიღოთ?

იოსები. იმე, რატომ ღვდელო! რავა, მე შენზე ნაკლებ ვემსახურები ღმერთს თუ?! ამ დიდმარხვაში ამდენი კითხვითა და ქაქანით დორბლები რომ მაყრევინე ლაფშებიდან, რავა იგი არაფერია! აპა მე ვირი ვყოფილვარ!

ზოსიმე. ვირი ხარ თუ ჯორი, ჩემი თანასწორი მაინც არ ხარ, გესმის!

იოსები. ღვდელო. ნუ ინებებ, თვარა არაა კარგი. თუ ერთობაა და თანასწორობა, იყოს, თუ არა და ისტევლე ძველებურათ დარჩეს. (შემოდის ვასო).

IV.

ივინიეე და ვასო.

ვასო. ოო, მამა ზოსიმეს ვახლავარ! რასა იქთ და როგორა ბრძანდებით?

ზოსიმე (იოსებით ნაწყენია და უკმეხათ შეხვდება ვასოს). როგორა ბძანდები კი არა, აღდგომაა დღეს და ქრისტე აღსდგა!“ უნდა სთქვა.

ვასო. თქვენ ხომ იცით რომ აღსდგა და ჩემი თქმა რაღა საჭიროა!

ზოსიმე. ოხ, ეს სოციალდემოკრატები! (ვასო იცინის).

მარიამი. ვასო, ვასო, დაჯექი, ერთი მოვილხინოთ, რა დროს დღეობაა!

ვასო (ჯდება) მამაო ზოსიმე, თქვენ რაღაც გაჯავრება გეტყობათ, რაშია საქმე?

ზოსიმე (იოსებზე აჩვენებს). შენ წარმოიდგინე ჩემთან ერთად თანასწორ წილსა თხოულობს!

იოსები. აპა რავა, თუ ერთობაა, ერთობა იყოს.

ვასო. როგორ თუ წილს, რა წილს?

ზოსიმე. მე გეტყვი რაშია საქმე. შენ კარგათ იცი, რომ ავტოკეფალიის ძალით ყველა ძველათ რუსების მიერ წაღებული საეკლესიო ფული და აწინდელი შემოსავალიც მღვდელ-დიაკვნებმა უნდა გაიყონ და წარმოიდგინე ეს ბრიყვი თანასწორ წილსა მთხოვს!

ვასო. (აქამდის ჩუმათ იცინოდა და ეხლა კი ველარ მოითმენს და გადიხარხარებს) ხა, ხა, ხა, ხა! რაო, რაო! ინაწილებთ კიდეც! ხა, ხა, ხა! ვაი, თქვენი ბრალი!

ზოსიმე. (გაჯავრებული) რას იკრიჭები, რა იყო!

ვასო. ხა, ხა, ხა! არა, ეს სააღდგომო საკურთხი ხომ არა გგონიათ, რომ ინაწილებთ!

მარიამი. ვასო, რას იცინი, სირცხვილ ა!

ვასო. ხა, ხა, ხა! მამაო, ბეჭი არ დაგეკარგოთ, ბეჭი!

ზოსიმე. ნუ იკრიჭები მეთქი, შე საძაგელო, შენა!

ვასო. ხა, ხა, ხა! როგორ არ გავიცინო, ადამიანო! მღვდლებმა რომ ავტოკეფალიის მნიშვნელობა იცოდნენ, ნამდვილათ თავებს მოიწამლავდნენ. მადლობა ღმერთს, რომ არ იციან, თორემ გაგვიძვირდებოდა: ნიშადური, კარბოლის სიმჟავე და სულემა.

იოსები. (გაოცებული) რაშია, ყმაწვილო, საქმე, გამაგებინე?

ვასო. რაშია, ჩემო ბიძია და ავტოკეფალიის დროს ყველა მღვდელ დიაკვანთ მთავრობიდან ჯამაგირი ესპობათ. ის შემოსავალი კი, რომელიც ეკლესიებს და მონასტრებსა აქვთ, ეძლევა საზოგადოთ ხალხს.

ზოსიმე. (გაბრაზებული) სტყუი! მაშ რამ უნდა შაგვინახოს ჩვენ?

ვასო. თქვენ უნდა გამონახოთ, ბიძია, მართლმორწმუნე ხალხი და იმათ დაექირაოთ, თორემ სიმშილით მოკვდებით.

მარიამი. ვასო, ეგ როგორ შეიძლება!

იოსები. იმე! ასტე რავა იქნება!

ვასო. ისე იქნება, რომ მზე მაღლა იყოს.

ზოსიმე. ეგ სოციალ-დემოკრატების ოინებია, მაგრამ ვერა, ვერ მოგართვი ბადრიჯანი! არ გინდოდათ, მაგრამ თქვენი სურვილის წინააღმდეგ ჩვენ უკვე მოვიპოვეთ ავტოკეფალია.

ვასო. (ღიმილით) სოციალ-დემოკრატი კი არა, ყველა წმინდა წყლის ფედერალისტიც ამას გეტყვის, რასაც მე ვამბობ.

ზოსიმე. (ცოფებსა ჭყრის სიბრაზით) სტყუი! ჩვენს პროგრამაში მასე არა სწერია. მე თითონ ფედერალისტი გახლავარ და ვერ მამატყუებ. მე ყველაფერი ვიცი.

იოსები. არა, ყმაწვილო, მასტე რავა შეიძლება! (შემოდის შაქრო).

V.

ივინიეე და შაქრო.

ზოსიმე. (შემოსვლისთანავე სტაცებს ხელს

შაქროს და ვასოსთან მიათრევს) Скажи ему, ради Бога, что значить автокефалія. (ვასოს) ჩემი თუ არა გჯერა, შენ ძმას შეეკითხე და აგიხსნის.

ვასო. შენ აახსნევინე, ბიძია, ჩემთვის საჭირო არ არის.

შაქრო. Въ чемъ дѣло, дядя, რას მიმათრევ! მოიცა, надо же поздравить. (მარიამს) მარიამს ვახლავარ, „ქრისტე აღსდგა!“

მარიამი. „ჭეშმარიტად!“

ზოსიმე. რა დროს ქრისტე აღსდგაა, გულზე ცეცხლი მეკიდება. ერთი გამაგებინე რაშია საქმე, თორემ არ ვიცი რას ვიზამ.

შაქრო. (გოცებული) რას მკითხავთ, არ ვიცი! Въ чемъ дѣло, дядя?

ზოსიმე. შენ მითხარი ავტოკეფალიის დროს ჩვენ სამღვდელოებას ჯამაგირები გვექნება მთავრობიდან თუ არა? (ვასოზე აჩვენებს) მე მაგ სათოკეებისა არაფერი არა მწამს. შენ ისე, ჩვენებურად — ფედერალისტურად მითხარი. შენ რასაც მეტყვი მე ყველაფერი მჯერა.

შაქრო.—დიახ ჩვენი პროგრამაც ამას მოითხოვს, რომ ავტოკეფალიის დროს სამღვდელოებას ჯამაგირი არ მიეცეთ.

ზოსიმე (ყვირილით). Врешь?

იოსები. ვაიმე, თავო დადუბულო, ვაიმე სულო წაუყმენდილო! (ვასო იღიმება).

ზოსიმე (შაქროს). სად სწერია მერე ასე?

შაქრო. ჩვენს პროგრამაში, ბიძია. ალბათ თქვენ არ გინახავთ.

ზოსიმე (ძალიან გაჯავრებული). მიჰქარავ! ტყუილია!

მარიამი. ღმერთო მომკალი, რაღამ უნდა გვარჩინოს!

შაქრო. დამიჯერე, დიადია, მართალს მოგახსენებთ.

ზოსიმე. მიჰქარავ მეთქი!

ვასო. ასეა, ასე, ბიძია ზოსიმე.

ზოსიმე (ვასოს) Молчать! შენა არავინ არ გკითხავს შე საციმბირევ, შენა! სოციალდემოკრატებისაგან როდის გამოსულა ხეირი, რომ ეხლა გამოვიდეს. (შაქროს) კარგი, ეს მითხარი შენ, ეკლესიის და მონასტრების შემოსავალი ხომ ჩვენი იქნება! ისე, ფედერლისტურათ მითხარი.

შაქრო. ბიძია, თქვენი კი არა მთელი ხალხისა იქნება.

ზოსიმე (დაუყვირებს). Не правда!

იოსები. ვაიმე, სულო, წაუყმენდილო! სად გადავვარდნილვართ, სად!(ზოსიმე გაბრაზებული დადის).

ვასო. ეგრეა, ეგრე დამიჯერე.

ზოსიმე. Молчи, я тебѣ говорю! მე შენი არაფერი არ მწამს. (გაივლ-გამოივლის) არა უშავს რა. რაც ამ ასი წლის განმავლობაში რუსებმა ჩვენი ეკლესიის შემოსავალი წაიღეს, ის ხომ დაგვიბრუნდება. მისი შემოსავალიც გვეყოფა.

ვასო. (გაეცინება) ფხ...

ზოსიმე. (მივარდება ვასოს) ნუ იკრიჭები მეთქი!

შაქრო. იმას არავინ დაგიბრუნებთ; დიადია, ტყუილი იმედია.

ზოსიმე. გასწი დამეკარგე აქედან! არც შენა ხარ წმინდა წყლის. სირცხვილი შენთვის, რომ შენც მე მომატყუილე. ემაგას იძახდი რომ ფედერალისტების პარტია კარგია! მოგვატყუილეთ, ჩაგვითრიეთ და წყალში გადაგვყარეთ?!

იოსები. ვაიმე, სულო წაწყმენდილო!

ზოსიმე. ღმერთო ჩემო, რა ვქნა, სით გადავარდე, რა წყალში ჩავვარდე!

მარიამი. მაშ რამ უნდა გვარჩინოს, ხალხნო!

ვასო. ხა, ხა, ხა, ხა! აი ეგეც თქვენი ფედერალისტი.

ზოსიმე. ნუ იღრიჯები მეთქი, შე დურაქო, შენა! ღმერთო, ეს რა ამბავია ჩემ თავს! მაშ რამ უნდა შეგვინახოს, ხალხნო!

შაქრო. დიადია, ეკლესიის საქმე თავისუფალია. თუ მონახავ მართლმორწმუნეებს და დაგიქირავებენ, შენც ემსახურე, თუ არა და თოხს უნდა მოკიდო ხელი!

ზოსიმე. Врешь, ты балванъ! თოხი, მამა გიცხონდება სულ მაგ ქკვაზე დავდივარ.

იოსები. ვაიმე, სულო წაუყმენდილო, რავა ჩევიშვლიპეთ კანჭები!

ვასო. აფსუს, რა ბეჭები და ცხვრის კანჭები დაგეკარგათ.

ზოსიმე. შენ გაჩუმდი, მე გელაპარაკები. მე შენი სასაცილო არასოდეს არ გავხდები. სხვისა თუ არ მექნება, ჩემ საკუთარ ცხვარს დავკლავ, ჩემ საკუთარ ცხვარს დავკლავ, ჩემ საკუთარ კანჭებსა ვჭამ, იმას ხომ არავინ დამიშლის. (შაქროს) არა, რატომ არ მითხარი, შე რაზბონიკო, საქმის ნამდვილი ვითარება! არა, რისთვის ვიმტვრევდი თავს ამ ავტოკეფალიისთვის! (ვასო და შაქრო ჩუმათ იცინიან, ზოსიმე თავში წაიშენს)

უბედურ დღეს ამისთანას
არ მოვსწრივარ ჩემს დღეშია,
შე ოხერო, ჩემო თავო,
ვერ გაჩერდი შენ ქერქშია!

იოსები. ვაიმე, სულო წაუყმენდილო!

ვასო. ნახვამდის, ბიძია! ასეა საქმე და რას იზამ. (გადის)

შაქრო. ბედს უნდა დაემორჩილო, დიადია.

ზოსიმე. გასწი, დამეკარგე აქედან, შე ავაზაკო, შენა! ჩემ სახლში ფეხი აღარ დაადგა.

შაქრო. ნახვამდის მარიამ, ნახვამდის დიადია. (გადის)

იოსები. ვაიმე სულო წაჭყმენდილო!

მარიამი. წელან რომ ღმერთსა სკოდე და სოქვი, მარიამს ქმარი ჰყვანდაო, იმისი ბრალია, ღმერთმა გიკანონა.

ზოსიმე. (მივარდება მარიამს) ხმა გაიქრე, თოკ-მოვიდა სისხლი. (მარიამი დაიხვს უკან).

იოსები. ჯამაგირი მაინც არ დამეკარგა მე უბედურს. რავა, მამაო, აშენებას მპირდებოდი და ჩემი საკუთარი რაცა მქონდა, ისიც გამომგლიჯე და სხვას მიეცი! არა ეს ჯამაგირი რაღაზე დამიკარგე! შე მამაცხონებულო, ჰყოფილიყავ შენთვის, არ გერჩივნა? კაცს ყოველ დღე დოში და ზურგიელი მოგდიოდა და მაინც და მაინც კიფალს გაეკიდე?!

ზოსიმე. (ამ ლაპარაკის დროს გარინდებული დგას, ბოლმა მოაწვება, სისხლი თავში აუვარდება და წაბარბაცდება) მი...შ..ვ...ე...ლ..ი..

მარიამი. (იკივლებს) ვაიმე, ღვდელო, ღვდელო, არ დაღუპო შენი მარიამი.

იოსები. (მივარდება) ზოსიმე, მამაო! მეიბრუნე გული. ვაიმე სულო, წაჭყმენდილო, ეს რა ამბავია ჩვენს თავს!

მარიამი. ღვდელო, ღვდელო შემიბრალე, გონს მოდი.

ზოსიმე. (ლუღლუღებს) მარიამ, ნუ გეშინიან, არ მოვკვდები. (მოსულიერდება თანდათან) არა, როგორ მოვტყუილდი! მერე მე მღვდლებში შეგნებულ კაცად ვითვლებოდი. სხვები მე მიჯერებდნენ, ვაი, რა დავღუპე ჩემი თავიც და ამოტოლა სამღვდელოებაც! (დიდხანს გაშტერებული სდგას, შემდეგ მოსთქვამს ვაი ვუის ხმაზე. მასა ჰყვებიან: მარიამი და იოსები).

ზოსიმე. ფედერალისტებო,
თქვენ მომტეხეთ ძვალი,
შემარცხვინეთ კაცი,
დამიყენეთ თვალი!
ვაი, ვაი, ვაი!

— —

დავკარგე ქონება,
ეს რა მამივიდა,
ცხვრის ბეჭი-კანჭები
გაჰქრა, წამივიდა!
ვაი, ვაი, ვაი!

მარიამი. ჩვენი შწო, ამაგი,
არვინ დააფასა,
ვაი, მე საწყალი,
დავრჩი ისევ ხასა!
ვაი, ვაი, ვაი!

— —

იოსები. დავიღუპეთ, ღვდელო,
გაჰქრა ჯამაგირი,
სად გამოვჩნდეთ აწი
სად გამოვყოთ ცხვირი!
ვაი, ვაი, ვაი!

— —

ზოსიმე. ზუთხი ხელში მქონდა,
დოში, სათალია,
რათ მინდოდა, რათა,
მე ეს კიფალია!
ვაი, ვაი, ვაი!

— —

იოსები. მე ვინ შემინახავს,
სად არს რწმენის ერი,
კბილები ჩამემტვრა,
არ მაქვს ერთი ღერი!
ვაი, ვაი, ვაი!

—

ზოსიმე. ვაი რა პლანები,
უცებ დამეფუშა,
მღვდელი, ბლაღოჩინი,
გავხდით ყანის მუშა!
ვაი, ვაი, ვაი!

—

იოსები. სულო წაჭყმენდილო,
თავო დაღუპულო,
ვაიმე საკურთხო,
დაკარგულო ფულო!
ვაი, ვაი, ვაი!

— —

ეგეღანი დავიღუპეთ ყველა:
მედავითნე, ბერი,
ხუცეს — დიაკონი, -
დავრჩით ყველა შტერი!
ვაი, ვაი, ვაი!

ბოგია.

მზადება ავტოკეფალურ ეკლესიისთვის

ნორჩი მასწავლებელი. ბაბუ! თუ შენ ეგრე იკოჭლე ქართული ანბანის გარჩევაში, წირვის წესებს სიკვდილამდე ველარ შეისწავლი.

რედაქტორი ეშმაკი. სტამბა ვ. რუხაძისა, გაბაევის შესახვ. № 1.